EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მესამე სექცია

ბასუ გერმანიის წინააღმდეგ

(განაცხადი N 215/19)

სამართლებრივი შეჯამება

არაოფიციალური თარგმანი

მომზადებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ

სტრასბურგი

18 ოქტომბერი, 2022 წელი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

მუხლი 14

დისკრიმინაცია

არ ჩატარდა დამოუკიდებელი და ეფექტიანი გამოძიება პოლიციის მიერ მატარებელში განხორციელებულ პიროვნების ვინაობის დადგენის ღონისძიებასთან დაკავშირებით, რომელიც განაპირობა პირის რასობრივი ნიშით გამორჩევამ. **დადგინდა დარღვევა.**

ფაქტობრივი გარემოებები

2012 წლის ივლისში ორმა პოლიციელმა განმცხადებლის მიმართ ჩაატარა პიროვნების ვინაობის დადგენის ღონისძიება. განმცხადებელი, რომელიც ინდური წარმოშობის მქონე გერმანიის მოქალაქე იყო, მიიჩნევდა, რომ მატარებლით ჩეხეთის რესპუბლიკიდან გერმანიის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას, მასსა და მის ქალიშვილზე ჩატარებული ვინაობის დადგენის ღონისძიება განპირობებული იყო რასობრივი მოტივით. განმცხადებლის განმარტებით, პოლიციის ოფიცრების მიმართ დასმულ კითხვაზე - თუ რატომ ტარდებოდა აღნიშნული ღონისძიება მასთან და მის ქალიშვილთან მიმართებით - პასუხად მიიღო, რომ ასეთი ღონისძიება წარმოადგენდა რეგულარულ ინსპექტირებას. მიუხედავად აღნიშნული განმარტებისა, პოლიციის ოფიცერმა მოგვიანებით დასძინა, რომ მატარებლის ამ რეისით ხშირად ხდებოდა სიგარეტის კონტრაბანდული გადაზიდვა საზღვარზე, თუმცა განმცხადებლის მიმართ, ამ მხრივ, არ არსებობდა კონკრეტული ეჭვი. წინამდებარე საქმეზე ეროვნულმა სასამართლოებმა უარი თქვეს დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენის მიზნით წარდგენილი საჩივრის არსებით განხილვაზე.

სამართლებრივი შეფასება

გამოსაყენებელი სამართლის ნორმა - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან ერთობლიობაში.

(ა) **გამოყენებადობა** – ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული პირის ვინაობის დადგენის ღონისძიება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ვერ აღწევს სიმძიმის იმ აუცილებელ ზღვარს, რომელიც საკმარისი იქნებოდა მსჯელობისთვის, რომ განხორციელდა პიროვნების პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემით დაცულ სფეროში არამართლზომიერი ჩარევა.

ჩარევის არამართლზომიერების დასადგენად აუცილებელია, რომ ღონისძიების ჩატარების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იყოს პიროვნების ფიზიკური ან ეთნიკური მახასიათებელი, რა დროსაც ერთი ადამიანის ან პირთა ჯგუფის შემოწმება ხდება აშკარა საფუძვლის გარეშე, საერთო ნიშნით. მოცემულ შემთხვევაში, ამგვარი

მოპყრობის რეალურობა შესაძლოა გამომდინარეობდეს პოლიციის ოფიცრების ახსნა-განმარტებიდან, რომელიც ქმნის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ შემოწმების მაპროვოცირებელ ნიშანს განმცხადებლის ფიზიკური ან ეთნიკური მახასიათებელი წარმოადგენდა. სასამართლოს შეფასებით, რასობრივი დისკრიმინაციის მოტივით პიროვნების მიმართ საჯაროდ ჩატარებულ ვინაობის გადამოწმების ღონისძიებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პირის რეპუტაციასა და თვითშეფასებაზე.

განმცხადებლის მოსაზრებით, პოლიციის მიერ განმცხადებლის მიმართ მატარებელში ჩატარებული ვინაობის გადამოწმების ღონისძიება განპირობებული იყო მხოლოდ მისი კანის მუქი ფერით, შესაბამისად, რასობრივი მოტივით; ვინაიდან პოლიციამ მხოლოდ განმცხადებელი და მისი ქალიშვილი შეამოწმა და მხოლოდ ამავე პირებს ჰქონდათ მუქი ფერის კანი, შესაბამისად, შემოწმების განმაპირობებელი ფაქტორიც მხოლოდ ეს გარემოება იყო. მომჩივანი ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ პოლიციის ოფიცრების მიერ მისთვის მიცემული ახსნა-განმარტების თანახმად, არ არსებობდა სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც გაამართლებდა ასეთი ღონისძიების ჩატარებას. შესაბამისად, მიიჩნევდა, რომ პიროვნების ვინაობის დადგენის ღონისძიების ჩატარების მთავარი მიზეზი განმცხადებლის ფიზიკური ან ეთნიკური მახასიათებელი იყო. განმცხადებელმა დამატებით აღნიშნა, რომ ზემოაღწერილ პირობებში ჩატარებულმა პიროვნების იდენტიფიცირების ღონისძიებამ სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინა მის პირად ცხოვრებაზე, რადგან იმდენად სტიგმატიზებულად და დამცირებულად იგრძნო თავი, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში შეწყვიტა მატარებლით გადაადგილება.

განმცხადებელმა მიუთითა, რომ პოლიციის მხრიდან პიროვნების ვინაობის დადგენის ღონისძიებას გააჩნდა იმდენად უარყოფითი გავლენა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე, რომ მასთან მიმართებით დაირღვა კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლებით დაცული უფლებები.

შუალედური დასკვნა: კონვენციის მე-14 და მე-8 მუხლები წარმოადგენს გამოსაყენებელ სამართალს.

(ბ) **არსებითი სამართლებრივი შეფასება** – ზოგადად, გამოძიების ვალდებულება ემსახურებოდა საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას - სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულსამართლებრივი საშუალებებით. ამ კონტექსტში, სახელმწიფოს სარგებლობს შეფასების თავისუფალი ფარგლებით, თავად განსაზღვროს, თუ როგორ უნდა მოეწყოს მისი სამართლებრივი სისტემა კონვენციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (*F.O. v. Croatia*). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია ფიზიკური პირების მიმართ, კონვენციის მე-8 მუხლის ცალკეული

ნაწილებით დაცული უფლების პოტენციურ დარღვევასთან დაკავშირებით, ჩაატაროს ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიება. სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის პრეტენზია მისი კონკრეტული ფიზიკური და ეთნიკური მახასიათებლებით გამორჩევის შესახებ ექცევა სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე ნაკისრ პოზიტიურ ვალდებულებაში, რომლის თანახმადაც, უფლების პოტენციური შეზღუდვის გამოძიების მოვალეობა არსებობს მაშინაც, როცა კონვენციით დაცული უფლებების შეზღუდვას თავად სახელმწიფოს წარმომადგენელი ახორციელებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ხელისუფლების ორგანოების მოვალეობაა გამოიძიოს სავარაუდო რასისტული დამოკიდებულებები, რაც შესაძლოა აისახებოდეს კონვენციის მე-14 მუხლით ნაკისრ ვალდებულებებში. კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლების სავარაუდო დარღვევის კონტექსტში, სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებოდათ ვალდებულება, გაეტარებინათ ყველა საჭირო ღონისძიება რასისტული მოტივების გამოსავლენად და იმის გამოსააშკარავებლად, იქონია თუ არა ეთნიკურმა სიძულვილმა ან წინასწარ ჩამოყალიბებულმა შეხედულებამ გავლენა მოვლენათა განვითარებაზე. ხელისუფლებას ყველა ღონე უნდა ეღონა, რათა შეეგროვებინა და დაეცვა მტკიცებულებები, გამოეყენებინა ჭეშმარიტების დადგენისთვის აუცილებელი ყველა პრაქტიკული საშუალება და მიეღო დასაბუთებული, მიუკერძოებელი და ობიექტური გადაწყვეტილებები, მათ შორის, ყურადღების მიღმა არ დაეტოვებინათ საეჭვო ფაქტები, რომლებიც, შესაძლოა, მიუთითებდნენ რასობრივი ნიშნით განპირობებულ ძალადობაზე. იმისათვის, რომ ჩატარებული გამოძიება ეფექტურად წარმართულიყო მასზე პასუხისმგებელი ორგანო სრულად დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო იმ დაწესებულებისგან, რომელმაც ჩაატარა პიროვნების ვინაობის დადგენის ღონისძიება, რაც მოიაზრებს როგორც იერარქიული და ინსტიტუციური კავშირების არარსებობას, აგრეთვე პრაქტიკულ დამოუკიდებლობასაც.

რასობრივი დისკრიმინაცია, რომელიც აკრძალულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლით, წარმოადგენს დისკრიმინაციის განსაკუთრებით მძიმე ფორმას მისი სახიფათო შედეგების გათვალისწინებით, რაც ხელისუფლებისგან მოითხოვდა განსაკუთრებულ სიფხიზლეს და მყისიერ რეაქციას. სასამართლომ ამ კონტექსტში ასევე მიუთითა ECRI-ს დასკვნაზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ რასობრივი ნიშნით ადამიანების გამორჩევა (პროფილირება) იწვევს ადამიანების სტიგმატიზაციასა და გაუცხოებას.

მოპასუხე სახელმწიფოს მთავრობის მითითებაზე, რომ ფედერალური პოლიციის ოფისის ზემდგომმა ორგანომ, რომელსაც ექვემდებარებოდა ღონისძიების ჩამტარებელი პოლიციელების განყოფილება, ჩაატარა შესაბამისი შიდა გამოძიება მომხდარზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ ჩათვალა, რომ იერარქიული და ინსტიტუციური კავშირების გათვალისწინებით, საგამოძიებო

ორგანოსა და პიროვნების იდენტიფიცირების განმახორციელებელ პოლიციელებს შორის გარკვეული კავშირი კვლავაც შენარჩუნებული იყო, შესაბამისად, გამოძიება არ იქნა მიჩნეული დამოუკიდებლად.

რაც შეეხება ეროვნულ დონეზე ჩატარებულ სამართალწარმოებას, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოებმა უარი თქვეს პიროვნების ვინაობის დადგენის ღონისძიების დისკრიმინაციულად ცნობის მოთხოვნით წარდგენილი საჩივრის განხილვაზე. მიუხედავად საფუძვლიანი ვარაუდისა, რომ განმცხადებელი შესაძლოა ყოფილიყო რასობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლი, საგამოძიებო ორგანოებმა არ შეაგროვა საჭირო მტკიცებულებები და არ მოუსმინა იმ მოწმეებს, რომლებიც ესწრებოდნენ სადავო ღონისძიებას. მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, ეროვნულმა სასამართლომ წარდგენილი საჩივარი დაუშვებლად ცნო ფორმალური საფუძვლით - კერძოდ, იმაზე მითითებით, რომ განმცხადებელს არ გააჩნდა მატერიალური საფუძველი და ლეგიტიმური ინტერესი მისი პიროვნების ვინაობის დადგენის ღონისძიების კანონიერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან მიმართებით.

ზემოაღნიშნულ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სახელმწიფო ორგანოებმა ვერ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა, მიეღოთ ყველა გონივრული ზომა დამოუკიდებელი ორგანოს მეშვეობით დადგენილიყო, ითამაშა თუ არა როლი დისკრიმინაციულმა დამოკიდებულებამ პიროვნების ვინაობის დადგენის ღონისძიების ჩატარებაში და, შესაბამისად, ვერ ჩატარდა ეფექტიანი გამოძიება. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ვერ შეძლო დაედგინა, განხორციელდა თუ არა განმცხადებელის ვინაობის დადგენის ღონისძიება მისი ეთნიკური წარმომავლობის გამო. შესაბამისად, დადგინდა კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლების დარღვევა.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად)

(იხ. ასევე: Gillan and Quinton v. the United Kingdom, 4158/05, 12 January 2010; Denisov v. Ukraine [GC], 76639/11, 25 September 2018; Volodina v. Russia, 41261/17, 9 July 2019; Vig v. Hungary, 59648/13, 14 January 2021; F.O. v. Croatia, 29555/13, 22 April 2021; Tunikova and Others v. Russia, 55974/16 et al., 14 December 2021; Y and Others v. Bulgaria, 9077/18, 22 March 2022; Muhammad v. Spain, 34085/17, 18 October 2022).